585
977/2

როლეზარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ყოველთვიური

№ 1 (432)

1977 წლის იანვარი

აქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

უწყებები

1 (432) იანვარი 1977 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

განყოფილება მეორე

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ .
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. პ. ბაბალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ზ. მონიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ს. ზოდელავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. კ. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. გ. ბენჯიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. ესაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ბ. მეტრეველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1976 წლის 20 ნოემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ კანონმდებლობის საქართველოს სსრ წიაღის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანამდე გამოიყენება საქართველოს სსრ წიაღის კანონმდებლობის ის აქტი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ წიაღის კოდექსი გამოიყენება იმ სამთო-სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ე. ი. 1977 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე წარმოშობილი წიაღის გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება 1977 წლის 1 მარტიდან რეგულირდება კოდექსის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ წიაღის კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების დღიდან, ე. ი. 1976 წლის 1 იანვრიდან, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად („სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 49, მუხ. 774).

4. შუამდგომლობანი წიაღის სარგებლობისათვის გაცემის თაობაზე, რომლებზეც კომპეტენტურ ორგანოებს არ მიუღიათ გადაწყვეტილებანი საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის, უნდა გადაწყვეტილ იქნეს კოდექსის 16-28-ე მუხლებით გათვალისწინებული წესისა პირობების დაცვით.

წიაღის სარგებლობისათვის გაცემის შესახებ შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში 1977 წლის 1 მარტამდე, მაგრამ არ არის შესრულებული საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის, უნდა შესრულდეს წიაღის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. იმ შემთხვევაში, თუ წიაღი სარგებლობისათვის იყო გაცემული 1977 წლის 1 მარტამდე ორგანოების მიერ, რომელთა კომპეტენცია წიაღის გაცემის დარგში იცვლება საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, წიაღის სარგებლობის უფლების შეწყვეტა კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად აღნიშნული ვადის შემდეგ **უნდა მოხდეს** ორგანოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად სარგებლობენ წიაღის გაცემისა და ჩამორთმევის უფლებით.

6. 55-ე მუხლის მეოთხე ნაწილის წესი სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა ხელმძღვანელობის შესახებ არ ვრცელდება პირებზე, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი სპეციალური განათლება, მაგრამ ასეთ სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის დაშვებული არიან 1976 წლის 1 იანვრამდე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ წიაღის კოდექსს შეუსაბამოს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 27 იანვარი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

ლევ ალექსანდრეს ძე **ვლადიმიროვს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

მიხეილ ალექსანდრეს ძე **კვესელავას** — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

გიორგი ივლიანეს ძე **მერკვილაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

ელენე პავლეს ასულ **მეტრეველს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

არჩილ გიორგის ძე **ნატროშვილს** — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

გიორგი ბართლომეს ძე **ნიკოლაიშვილს** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ვალერიან თომას ძე **რამიშვილს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ მათეს ძე **ტყეშელაშვილს** — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ივანე სიმონის ძე **შადურს** — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ადამ ილიას ძე **ჩახტაურს** — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

სოლომონ გიორგის ძე **ხუციშვილს** — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

ალექსი სიმონის ძე **ჯაფარიძეს** — საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 3 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოს საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის

ქეთევან ალექსანდრეს ასულ **აბრამიძეს** — ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 3 საბავშვო ბაღის გამგეს.

რემზი კამშიშის ძე **აგრბას** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის დირექტორს.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **არსენიძეს** — პენსიონერს.

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **ბარგანჯიას** — გუდაუთის რაიონის ახალი ათონის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

მარიამ ნესტორის ასულ **ბარჯაძეს** — დუშეთის რაიონის ანანურის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

შალვა მაქსიმეს ძე **ბასარიას** — გალის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

არჩილ შალვას ძე **ბერიძეს** — ზემო ავჭალის ბავშვთა შრომა-აღმზრდელობით კოლონიასთან არსებული 39-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

ეკატერინე ნიკიფორეს ასულ **განორსკაიას** — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიმა ვიქტორის ასულ **გერმანოზაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის მასწავლებელს.

აკაკი ნიკოლოზის ძე **გვასალიას** — ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გიორგი მინას ძე **გონაძეს** — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

ანეტა სარდიონის ასულ **გოშთელიანს** — მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტს.

გრიგოლ გიორგის ძე **გრძელიძეს** — კოჯრის საშუალო სკოლის დირექტორს.

ლევან პავლეს ძე **გურგენიძეს** — კასპის სკოლა-ინტერნატის დირექტორს.

ლიანა სიმონის ასულ **ეზიკაშვილს** — ქუთაისის საბუღალტრო სკოლის მასწავლებელს.

ლევან პროკოფის ძე **ებრალიძეს** — პენსიონერს.

გიგუცა ბესარიონის ძე **ვარდოსანიძეს** — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მდივანს.

გიორგი გრიგოლის ძე **თავაძეს** — გორის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ნათელა გრიგოლის ასულ **კაკაურიძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორს.

ვალენტინა ანდროს ასულ **კასინას** — თბილისის 103-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თინა კლიმენტის ასულ **კახიანს** — სამტრედიის რაიონის მელაურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

მარიამ იულონის ასულ **კახიძეს** — ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გოგოლა ბესარიონის ასულ **კიწმარეიშვილს** — თბილისის მე-10 სამუსიკო სკოლის მასწავლებელს.

მისაკ აკოფის ძე **კრიმლიანს** — აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორს.

გიორგი გრიგოლის ძე **კურტანიძეს** — ხარაგაულის რკინიგზის № 10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

შოთა ვარდანის ძე **კუსრაევს** — ცხინვალის რაიონის არცევის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ივანე ნიკოლოზის ძე **ლაღიძეს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

ანდრო ივანეს ძე **ლომთაძეს** — ზესტაფონის პირველი საშუალო სკოლის **მასწავლებელს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლენა სიმონის ასულ **ლომთათიძეს** — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

კონსტანტინე იაკობის ძე **მანჯგალაძეს** — ს. ზაქარიაძის სახელობის თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მასწავლებელს.

მარგარიტა ვალიკოს ასულ **მუმლაძეს** — პენსიონერს.

აზიზ ისმაილის ძე **მურსაკულოვს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

გრიგოლ პავლეს ძე **ნოზაძეს** — ხაშურის რაიონის გომის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ლევონ ვართანის ძე **ორდინიანს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორს.

ვალერიან ილიას ძე **პაიჭაძეს** — რუსთავის სკოლა-ინტერნატის დირექტორს.

როდიონ ბაგრატის ძე რაფავას — ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ლამარა სამსონის ასულ **ურიდიას** — ვ. კანკავას სახელობის № 3 რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის დირექტორს.

რაისა სემინარის ასულ **ფარჯანაძეს** — ქუთაისის რკინიგზის საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

თამარ ვახტანგის ასულ **ფიცხელაურს** — ლენინგორის რაიონის ერედის დაწყებითი სკოლის გამგეს.

ლილი ნიკოლოზის ასულ **ქიქოძეს** — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ბარბარე ევგენის ასულ **ყიფიანს** — სიღნაღის რაიონის წნორის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გიორგი სერგოს ძე **შეყლაშვილს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტს.

ალექსანდრა თეოფანეს ასულ **შონიას** — ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მასწავლებელს.

ვლადიმერ ევგენის ძე **ჩაგანავას** — პენსიონერს.

ალექსანდრა სიმონის ასულ **ჩეხოევას** — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ლევან შაქირის ძე **ცეცხლაძეს** — პენსიონერს.

შამშე კალისტრატეს ძე ძნელაძეს — წყალტუბოს რაიონის საჩხეურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

მეგი დავითის ასულ **წერეთელს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური საბაზო ბაგა-ბაღის მასწავლებელს.

პოლიექტორ ვასილის ძე **ჭელიძეს** — თბილისის რკინიგზის საკვანძო სადგურის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ვარლამ სისოს ძე **ჭკადუას** — პენსიონერს.

ცუცა სიმონის ასულ **ჭოჭუას** — გუდაუთის რაიონის ახალი ათონის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ოსმანის ასულ **ხარაზს** — ქობულეთის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მარგარიტა ალექსის ასულ **ხოლოდოვას** — თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის მასწავლებელს.

ალექსანდრე იასონის ძე **ხომერიკს** — პენსიონერს.

როზა სალმან ყზის **ხუდაევას** — მარნეულის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ნათელა იოსების ასულ **ხუციშვილს** — თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.

ვლადიმერ მალაქიას ძე **ჯაფარიძეს** — პენსიონერს.

ვალიკო სიმონის ძე **ჯიოევს** — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელს.

გრაფ საბას ძე ჯიოევს — ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

თამარ ივანეს ასულ **ჯიშკარიანს** — ახალციხის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მიხეილ იოსების ძე **ჯორბენაძეს** — პენსიონერს.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოს საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის

იური მიკიჩის ძე **ასრატიანს** — თბილისის № 35 ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

ლიანა გრიგოლის ასულ **ბარბაქაძეს** — ფოთის № 12 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს

ინგა პეტრეს ასულ **სულავას** — თბილისის № 23 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

ეკატერინე ალექსანდრეს ასულ **ფირუმოვას** — თბილისის № 18 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის:

ტარიელ ნიკოლოზის ძე **თარალაშვილს** — რუსთავის № 3 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

გურამ აკაკის ძე **ჟღენტს** — ბორჯომის № 7 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.

დემურ ივანეს ძე **რუხაძეს** — ენისელის № 2 სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარა კონდრატეს ასულ **სირბილაძეს** — ქუთაისის № 37 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების უფროს ოსტატს.

ვახტანგ დავითის ძე **ქვათაძეს** — თბილისის № 34 ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 3 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 ამხ. ი. პ. ბაბალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის გასავლელად ახალგაზრდა თაობის მომზადებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, გადამდგარი გენერალ-მაიორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი ამხ. ივანე პავლეს ძე **ბაბალაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 6 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 ამხ. ი. ზ. მონიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. იაკობ ზოსიმეს ძე **მონიავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 6 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 ამხ. მ. ს. ზოდელავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. მამია სამსონის ძე ზოდელავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 14 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 პროფესორ ა. კ. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის პროფესორი ამბროსი კალისტრატეს ძე რუხაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 14 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. იური ივანეს ძე ქედიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** საპატიო **სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 14 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 ამხ. ვ. გ. ჯინჯიხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ვაჟა გერონტის ძე ჯინჯიხაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 14 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 ამხ. ნ. მ. ესაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პერსონალური პენსიონერი ამხ. ნიკოლოზ მიხეილის ძე **ესაკია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო **სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 ამხ. გ. ბ. მეტრეველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. გივი ბესარიონის ძე **მეტრეველი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 27 იანვარი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1977 წლის 27 იანვრის სხდომაზე იმსჯელა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მიღებამ ხელი შეუწყო დეპუტატების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, დღეს მათ მიერ დასმული საკითხები ასახავენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებს, მშრომელთა უპირველეს მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს. ეს შეინიშნება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საქმიანობაშიც, რომელთა სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ წლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე და მუდმივ კომისიებში დეპუტატთა საქმიანობის გააქტიურებამ საგრძნობლად გააფართოვა განსახილველ საკითხთა წრე. ამაღლდა სამინისტროებისა და უწყებათა პასუხისმგებლობა მათ წინაშე დაყენებული საკითხების გადაწყვეტაში,

ამასთან ერთად, აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში უხეშად ირღვევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ დებულებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნები. დღემდე არ არის მოგვარებული დეპუტატების წინადადებებისა და მუდმივი კომისიების დადგენილებათა აღრიცხვა, ჯერ კიდევ შეინიშნება მათდამი ფორმალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდგომის, საქმის გაჭიანურების შემთხვევები. ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელი დადგენილ ვადებში არ აცნობებს საკითხების განხილვის შედეგებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და დეპუტატებს. ხშირად პასუხები მხოლოდ შეხსენების შემდეგ ან მნიშვნელოვანი დაგვიანებითაა გაცემული.

მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების მუშაობაში დანერგილი არ არის შემოსული წინადადებების კოლეგიებზე, კომიტეტების სხდომებზე განხილვისა და შესაბამისი დადგენილებების, ბრძანებების გამოცემის პრაქტიკა. ცუდადაა დაყენებული შესრულების კონტროლის საქმეც, რის გამოც მუდმივი კომისიების ზოგიერთი რეკომენდაცია საერთოდ რეაგირების გარეშეა დატოვებული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკალა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის დროს განუხრელად იხელმძღვანელონ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილებითა და დებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ;

უმოკლეს დროში მოაწესრიგონ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების აღრიცხვა როგორც თვით აპარატებში, ასევე მათ დაქვემდებარებაში მყოფ საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმის გასაუმჯობესებლად;

დადგენილ ვადებში განიხილონ და გადაწყვიტონ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხები. მტკიცე კონტროლი დააწესონ მათი შესრულების მიმდინარეობაზე, ამასთან, განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში მოცემული დებულებით შესრულების კონტროლისა და შემოწმების შესახებ. დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების წინადადებები გახადონ სამინისტროების კოლეგიებისა და კომიტეტების სხდომების სისტემატური მსჯელობის საგანი.

რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ პერიოდულად მოისმინონ მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტის მდგომარეობის შესახებ და მიიღონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

იმავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომში მშრომელთა წერილებზე მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ რაისაბჭოს აღმასკომმა გარკვეული ღონისძიებანი განახორციელა მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

მიუხედავად ამისა მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობა რაისაბჭოს აღმასკომსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვერ პასუხობს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს.

რაისაბჭოს აღმასკომში ყოველთვის პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, ირღვევა მათი განხილვისათვის კანონით დაწესებული ვადები, ჭიანურდება განმცხადებელთა მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტა, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზემდგომ ორგანოებში მშრომელთა საჩივრებს, განმეორებით და კოლექტიურ წერილებს. მაგალითად, რაისაბჭოს აღმასკომში 1976 წლის 10 თვეში მიღებულია 209 განცხადება და საჩივარი, ხოლო ზემდგომ ორგანოებში გაიგზავნა — 231. განცხადებებისა და საჩივრების დიდი ნაწილი შეეხებოდა საკითხებს, რომელთა მოგვარება რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს ადგილებზე შეეძლოთ.

რაისაბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს განყოფილებებში, სამმართველოებსა და დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საკითხებს. ამის შედეგია მაგალითად ის, რომ წაღვერის, ბაკურიანის, ახალდაბის სადაბო და ტბის სასოფლო საბჭოების აღმასკომებში უყურადღებოდაა დატოვებული მშრომელთა განცხადებები და საჩივრები.

საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ყოველთვის დროულად არ პასუხობენ ზემდგომი ორგანოებიდან გადაგზავნილ, კონტროლზე აყვანილ განცხადებებზე.

ხარვეზებით ხასიათდება საქმისწარმოება რაისაბჭოს აღმასკომსა და ზოგიერთ დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში, არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ზეპირი განცხადებების მიღებისა და რეგისტრაციის საქმე.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ რაისაბჭოს აღმასკომი ყოველთვის საფუძვლიანად არ სწავლობს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გამომწვევ მიზეზებს, ჯეროვან პასუხს არ სთხოვს იმ მუშაკებს, რომლებიც გულისხმიერებით არ ეკიდებიან განცხადებებსა და საჩივრებში დაყენებული საკითხების გადაწყვეტის საქმეს, სათანადო ყურადღებას არ აქცევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში გადაგზავნილ განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობას.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლის საქმეში სუსტად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სათანადო ყურადღება არ ექცევა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ს. ლომიძე) განახორციელოს საჭირო ღონისძიებები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას;

მშრომელთა მიღებისას და მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს განუხრელად იხელმძღვანელოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით;

იზრუნოს, რათა მოქალაქეთა ყოველი თხოვნა, საჩივარი თუ წინადადება განხილულ იქნეს ყურადღებით, პრინციპულად და გულისხმიერებით, რეაგირების გარეშე არ დატოვოს მოქალაქეთა კანონიერი თხოვნის არასწორად გადაწყვეტის არც ერთი შემთხვევა;

სრულყოს მუშაობის სტილი, განამტკიცოს საშემსრულებლო დისციპლინა, აამაღლოს ხელმძღვანელი მუშაკებისა და დეპუტატების პასუხისმგებლობა მშრომელთა წერილებზე მუშაობისას;

პერიოდულად შეისწავლოს და თავის სხდომებზე განიხილოს რაისაბჭოს აღმასკომის აპარატსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის საკითხი. მოისმინოს განყოფილებების, სამმართველოებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ანგარიშები მშრომელთა წერილებზე მუშაობის შესახებ;

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შემოწმებაში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

უზრუნველყოს ჯეროვანი წესრიგი წერილებისა და საჩივრების აღრიცხვის საქმეში. ფართოდ დანერგოს პრაქტიკაში მშრომელთა მიღება კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით; მიაღწიოს მათ მიერ წამოჭრილი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას;

პერიოდულად მოაწყოს მოქალაქეთა წერილობითი და ზეპირი განცხადებების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს განმეორებითი და კოლექტიური განცხადებების განხილვას, მათი გამომწვევი მიზეზების საფუძვლიან შესწავლას და აღმოფხვრას. მკაცრი პასუხი მოსთხოვოს იმ მუშაკებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ საჩივრებსა და განცხადებებში დაყენებული საკითხების გადაწყვეტას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 27 იანვრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 204 მრავალშვილიანი დედა. მათ შორის:

ქ. თბილისში		16
ქ. გორში		5
ქ. რუსთავში		4
ქ. ქუთაისში		2
ადიგენის	რაიონში	3
ბოგდანოვკის	„	11
გეგეჭკორის	„	6
დმანისის	„	37
ლაგოდეხის	„	4
მესტიის	„	26
მცხეთის	„	6
საჩხერის	„	3
ყვარლის	„	23
ჩოხატაურის	„	6
წალენჯიხის	„	14
წალკის	„	24
სამხრეთ ოსეთის ა/ო		14

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 27 იანვრის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი“ დააჯილდოვა 630 კაცი, მათ შორის:

ქ. თბილისის კიროვის	რაიონში	17
„ ორჯონიკიძის	რაიონში	29
„ საქარხნო	რაიონში	267
ქ. ტყიბულში		16
ქ. ქუთაისში		79

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალციხის	რაიონში	9
გურჯაანის	„	37
ზესტაფონის	„	11
მახარაძის	„	10
სამტრედიის	„	32
ჩხოროწყუს	„	33
წალკის	„	18
წულუკიძის	„	21
ხაშურის	„	51

25640

ა. ბარამიძის სახ. ხელ. ბიბ. სახელმწ. ფონ. ბიბლიოთეკა